პირველადი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

რესპუბლიკის მოედანი

(ყოფილი ტრიბუნის ადგილიზე მშენებლობის პროექტისათვის)



თბილისი

2013

განსახილველი საკვლევი ტერიტორია ამჯერად „რესპუბლიკის მოედნის“ ნაწილს წარმოადგენს. ეს ადგილი ისტორიულად ვერის უბანს, ხოლო, ადმინისტრაციულად ძველი თბილისის გამგეობას ეკუთვნის.



1. თბილისის რუკა 1913წ.

ვერა, იგივე ვერე, დღეს თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური უბანია. ძველად აქ, მდინარე ვერეს ქვემოწელზე, განლაგებული სოფელი ვერე ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან გარეუბნის შემდეგ ესაზღვრებოდა. ისტორიულად ეს ტერიტორია გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. XVIII ს-ში ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან გაბაანთ ხევით, დასავლეთიდან – სემიონოვკის დასახლებით, ჩრდილოეთიდან – საბურთალოთი, აღმოსავლეთიდან – მტკვრით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ვერეს ადრე სკვირეთი რქმევია. დროთა განმავლობაში სკვირეთი (სკორეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

ვერა თბილისს ოფიციალურად XIXს-ის 70-იან წლებში შემოუერთდა. 1880-იან წლებში ქალაქის ეს უბანი უკვე მჭიდროდ არის განაშენიანებული. მიკროუბნის ქუჩათა სტრუქტურა, ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა დროინდელ გეგმებზე. 1904-13 წლის თბილისის გეგმებზე მოცემული უბანი ქალაქის I ნაწილს – ვერას ეკუთვნის. აქ უკვე ჩამოყალიბებულია ქუჩათა მეტ-

ნაკლებად რეგულარული ქსელი. დღევანდელი „ვარდების რევოლუციის“ სახელობის მოედნის ადგილზე ვხედავთ ე.წ. **,,არტილერიისკაია ბალკას''**, ასევე სამხედრო, სარაკეტო, საზარბაზნე ქუჩებს. აქვე ახლოს (რუსთაველის მოედნის ადგილზე) იყო „მოსკოვის ზასტავა'', ასევე მესანგრეთა ქუჩა (თაბუკაშვილი). ამგვარად ცარიზმის პერიოდში ვერის უბნის ეს ნაწილი მნიშვნელოვან სამხედრო დანიშნულების მიკროუბანს წარმოადგენდა.



XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საგრძნობი გახდა ხიდების უკმარისობა მტკვარზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის ზრდით, მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებით, რკინიგზის მშენებლობით, ახალი უბნების აღმოცენებით მდინარის ზედა დინებაზე. არსებული რამდენიმე ხიდი კი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაცილებული ერთმანეთისგან. 1885 წელს გაიხსნა ახალი ვერის ხიდი (ძველი ვერის ხიდი, ახლანდელი გმირთა მოედანის ადგილზე მდებარეობდა), რომელიც წარმოადგენდა ქვის ბურჯებზე გადებულ ლითონის ფერმებზე მოწყობილ ფიცარფენილს. იგი დააპროექტა ქალაქის არქიტექტორმა, ინჟინერმა უმანსკიმ ვერის ხიდის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას მერე, რაც ახალი ქუჩა – ვერის (აწინდელი მ. ჯავახიშვილის) დაღმართი გაიჭრა. ამით უახლოესი კავშირი დამყარდა გოლოვინის პროსპექტს, ვერის ვრცელ უბანსა და მარჯვენა ნაპიროს უბნებს და რკინიგზის სადგურს შორის. ვერის ხიდი, რომლის სიგანე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და 1951 წელს დაიწყეს ახალი სამმალიანი ელბაქიძის ხიდის მშენებლობა (ახლა გალაქტიონის), რომელიც 1952 წლის დეკემბერში დამთავრდა (ინჟ. გ. ჩომახიძე, არქ. მ. მელია).

XX საუკუნის II ნახევრამდე უბანი თითქმის უცვლელად იყო შემონახული და თბილისისთვის დამახასიათებელი მჭიდრო დაბალსართულიანი განაშენიანებით ხასიათდებოდა, რომლის მასშტაბიც მოხლოდ 1913-15 წლებში აგებულმა მელიქ აზარიანცის ხუთსართულიანმა შემოსავლიანმა სახლმა დაარღვია. ნაგებობა მოდერნის სტილის არქიტექტურის ნიმუშია.



სომხური წარმოშობის თბილისელი კომერსანტის, მელიკ აზარიანცის დიდი შემოსავლიანი სახლი შოთა რუსთაველის პროსპექტის №37-ში მდებარეობს, რესპუბლიკის მოედნის მიმდებარედ. ნაგებობა თბილისური მოდერნის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია, რომელიც 1912-1915 წლებში აიგო პეტერბურგელი არქიტექტორის ნიკოლოზ ობოლენსიკის პროექტით.



ამ მსხვილმასშტაბიანი შენობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე Art Nouveau -ს სტილისთვის დამახასიათებელ ფაქტურულ კონტრასტს ეფუძნება. რკინა-ბეტონის კონსტრუქციით აგებული შენობის მაღალი, ფართო ვიტრინებიანი პირველი სართული ქვით არის რუსტირებული, ხოლო მეორე და მესამე სართულები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. მოდერნის სტილითაა ნასაზრდოები აგრეთვე ფასადის დეკორატიული სამკაული: ქვის კვეთილი გირლანდები და სკულპტურული რელიეფები (ავტორი ჩეხი მოქანდაკე ა. ნოვაკი). ნაგებობას აგვირგვინებს სწორხაზოვანი და მორკალული ფორმის კარნიზები. ხოლო მ. ჯავახიშვილის დაღმართის კუთხეზე გამავალ ნაწილს ასრულებს ორი მცირე გუმბათი.

აღნიშვნის ღირსია ასევე სახლის უკანა მხარე, რომელიც თბილისური ტრადიციული ხის აივნებითაა შემკული. ამასთან, თავად ხის კვეთილობის ნახატი მოდერნის სტილს ექვემდებარება, რაც უნიკალურობას სძენს ამ ისტორიულ ძეგლს.



ამ მხრიდან შენობას საბჭოთა პერიოდში სამთავრობო ტრიბუნის თაღოვანი კონსტრუქცია ეფარებოდა, რომელიც მოედანზე აღლუმების ჩატარებისთვის იყო შექმნილი. ამავე მიზნით გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა მელიქ აზარიანცის სახლის გარშემო არსებული მჭიდრო ისტორიული განაშენიანების დანგრევა და ვრცელი სივრცის - მოედნის გაჩენა.



ზემოხსენებული რეკონსტრუქციისას მოცემულ მიკროუბანში განადგურდა რამდენიმე ისტორიულად ღირებული ნაგებობა (მათ შორის, ზემელის აფთიაქი) და მკვეთრად შეიცვალა უბნის არქიტექტურული სახე. საარქივო ფოტოებზე შემონახულია „ზემელის“ განაშენიანების ცალკეული ფრაგმენტები.





უკანასკნელი ურბანული ტერიტორია, რომელიც განადგურდა სულ ცოტა ხნის წინათ, მიხეილ ჯავახიშვილის დაღმართის განაშენიანება იყო, ის მცირეოდენი „ზემელის“ ნაწილი, რომელიც გადაურჩა 1970-80-იანი წლების საბჭოთა „რეკონსტრუქციას”. ამ მასშტაბურმა პროექტმა, – თბილისისთვის აღლუმების ჩასატარებელი მოედნის გაჩენამ, შეიწირა ვერის დაღმართის განაშენიანების მნიშვნელოვანი ნაწილი და ისტორიული ქალაქისთვის შეუსაბამო ურბანული სივრცე – **რესპუბლიკის მოედანი** და მისი მიმდებარე ტერიტორია მოგვცა. მოედანი, რომელიც თავისი ღია, მორღვეული სივრცით სრულიად შეუსაბამოა თბილისისთვის, მოკლებულია ინტიმურობას და არ ითვალისწინებს ადამიანურ მასშტაბს. ამისთან სრულიად დაკარგული აქვს

საპარადო მოედნის ფუნქცია და იშვიათად ხდება ქალაქში ჩატარებული ღონისძიებების ეპიცენტრი. ამდენად, სოციალურ ფუნქციას მოკლებული ეს სივრცე არ გახდა ურბანულად ათვისებული ადგილი.



ყოფილი ზემელის ახლანდელი რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის მთავარი არქიტექტურული აქცენტი ყოფილი "ივერიის", აწინდელი "რედისონის" სასტუმროს მრავალსართულიანი ნაგებობაა, რომლის რეკონსტრუქციაც ახლახან დასრულდა. ეს შენობა მკვეთრად ვერტიკალურადაა განვითარებული, თუმცა შეინარჩუნებულია "ივერიის" მასშტაბი და ამდენად ქალაქისთვის უკვე ჩვეული ხასიათი.





რესპუბლიკის მოედნის კეთილმოწყობის პროექტის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა „რედისინის“ წინ არსებული სივრცითი მონაკვეთის ათვისებას ერთსართულიანი კაფე-პავილიონის მოცულობით, მოკირწვლით და ტერიტორიის გამწვანებით. ამჯერად განიხილება მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ყოფილი ტრიბუნის კონსტრუქციის ადგილას, ახალი შენობის დაპროექტების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს მელიქ აზარიანცის სახლის მიმდებარედ, მისი ე.წ. ეზოს ფასადის მხარეს ახალი მოცულობის გაჩენას.



იმის გათვალისწინებით, რომ XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი დარჩენილია თავისი კონტექტის გარეშე და ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ეზოს მხარეს მიმართული ფასადით გამოდის, ამასთან მის ორივე კიდეებში უკვე XX საუკუნის ბოლოს საკმარისად სათუო ღირებულების მოცულობებია აგებული - ვფიქრობ ამ ურბანული მონაკვეთის ათვისება ახალმშენებლობით აუცილებელია უკვე რეკონსტრუირებული მოედნის ერთიანად შეკვრის და არქიტექტურული მოწესრიგების კუთხით. ამასთან პროექტმა სასურველია გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

- რესპუბლიკის მოედნის და მიმდებარე განაშენიანების მასშტაბიდან გამომდინარე ახალი შენობა სასურველია დაპროექტდეს ისეთი სიმაღლით, რომ დაიფაროს მის უკან მდებარე მელიქ აზარიანცის შენობის ეზოს ფასადის უმეტესი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს სასურველია ეს ფასადი ნაწილობრივ იკითხებოდეს მოედნის მხრიდან.

- სასურველია საპროექტო შენობის ორივე გვერდით მხარეს დარჩეს სივრცითი მონაკვეთები, რომლებიც გამოყოფენ მას არსებული ქვით მოპირკეთებული განაპირა მოცულობებისაგან.

- ახალი შენობის ფასადი ვფიქრობ სასურველია შესრულდეს თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტით და თანამედროვე მასალებით.

- მშენებლობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მელიქ აზარიანცის ისტორიული შენობის მდგრადობის შესანარჩუნებელი სამუშაოები.

ხელოვნებათმცოდნე  ლალი ანდრონიკაშვილი



დ. აბაშიძის ქ. № 9 . 0102 თბილისი, საქართველო
Tel: +995 32 2951165 . email: **info@noa-studio.com**

A შედებილი ზედაპირი B მინა	პროექტი > არასაცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა ვარდების რევოლუციის მოედანზე-კორექტირებული პროექტი	დამკვეთი > ახალი ოფისი	ფურცელი > 02
C ხე D სახურავი - ხრეში	ნახაზი > ფოტომონტაჟი მოედნის პერსპექტიული განვითარების ჩვენებით	მდებარეობა > თბილისი	მასშტაბი > უ/მ
E ბაზალტის ქვაფენილი	ავტორი > შპს ნოა სტუდიო	დირექტორი: მ. ყრუაშვილი	თარიღი > თებერვალი 2014

NOTE> This drawing can't be reproduced or copied without authorization of its author. All copy rights are reserved by the legislation, D.L. 63|85 of 14th of March, changed by the Law nº45|85 of September and by the Law nº114|91 of 3rd of September.



დ. აბაშიძის ქ. № 9 . 0102 თბილისი, საქართველო
Tel: +995 32 2951165 . email: **info@noa-studio.com**

A შედებილი ზედაპირი
B მინა
C ხე
E ბაზალტის ქვაფენილი

პროექტი > არასაცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა ვარდების რევოლუციის მოედანზე-კორექტირებული პროექტი	დამკვეთი > ახალი ოფისი	ფურცელი > 04
ნახაზი > ფოტომონტაჟი მოედნის პერსპექტიული განვითარების ჩვენებით	მდებარეობა > თბილისი	მასშტაბი > უ/მ
ავტორი > შპს ნოა სტუდიო	დირექტორი: მ. ყრუაშვილი	თარიღი > თებერვალი 2014

NOTE> This drawing can't be reproduced or copied without authorization of its author. All copy rights are reserved by the legislation, D.L. 63|85 of 14th of March, changed by the Law nº45|85 of September and by the Law nº114|91 of 3rd of September.



noa studio

დ. აბაშიძის ქ. № 9 . 0102 თბილისი, საქართველო
Tel: +995 32 2951165 . email: info@noa-studio.com

A შეღებილი ზედაპირი
B მინა
C ხე
E ბაზალტის ქვაფენილი

პროექტი > არასაცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა
ვარდების რევოლუციის მოედანზე-კორექტირებული პროექტი

დამკვეთი > ახალი ოფისი

ფურცელი > 05

ნახაზი > ფოტომონტაჟი

მდებარეობა > თბილისი

მასშტაბი > უ/მ

ავტორი > შპს ნოა სტუდიო

დირექტორი: მ. ქრუაშვილი

თარიღი > თებერვალი 2014

NOTE> This drawing can't be reproduced or copied without authorization of its author. All copy rights are reserved by the legislation, D.L. 63|85 of 14th of March, changed by the Law nº45|85 of September and by the Law nº114|91 of 3rd of September.



დ. აბაშიძის ქ. № 9 . 0102 თბილისი, საქართველო
Tel: +995 32 2951165 . email: **info@noa-studio.com**

A შედებილი ზედაპირი
B მინა
C ხე
E ბაზალტის ქვაფენილი

პროექტი > არასაცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა
ვარდების რევოლუციის მოედანზე-კორექტირებული პროექტი

დამკვეთი > ახალი ოფისი

ფურცელი > 06

ნახაზი > ფოტომონტაჟი

მდებარეობა > თბილისი

მასშტაბი > უ/მ

NOTE> This drawing can't be reproduced or copied without authorization of its author. All copy rights are reserved by the legislation, D.L. 63|85 of 14th of March, changed by the Law nº45|85 of September and by the Law nº114|91 of 3rd of September.

ავტორი > შპს ნოა სტუდიო

დირექტორი: მ. ყრუაშვილი

თარიღი > თებერვალი 2014



დ. აბაშიძის ქ. № 9 . 0102 თბილისი, საქართველო
Tel: +995 32 2951165 . email: **info@noa-studio.com**

პროექტი > არასაცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობა ვარდების რევოლუციის მოედანზე-კორექტირებული პროექტი	დამკვეთი > ახალი ოფისი	ფურცელი > 01
ნახაზი > საპროექტო გენგეგმა - კორექტირებული	მდებარეობა > თბილისი	მასშტაბი > 1/500
ავტორი > შპს ნოა სტუდიო	დირექტორი: მ. ყრუაშვილი	თარიღი > თებერვალი 2014

NOTE> This drawing can't be reproduced or copied without authorization of its author. All copy rights are reserved by the legislation, D.L. 63|85 of 14th of March, changed by the Law nº45|85 of September and by the Law nº114|91 of 3rd of September.